დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„პოლიტიკის მეცნიერება“
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

შეფასების თარიღი
20/02/2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
29/03/2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 9

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 19

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... Error! Bookmark not defined.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 28

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... Error! Bookmark not defined.

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405365698
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გვანცა აბდალაძე, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ივანნნა მაჩიტიძე, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ია ნაცვლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოსო გაზდელიანი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	პოლიტიკის მეცნიერება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Political Science
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Political Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	არააკრედიტებული
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციას, თუმცა ფუნქციონირებდა ავტორიზებულ რეჟიმში. პროგრამა შექმნილია პარტნიორ ბრიტანულ უნივერსტიტეტთან (ბუკინგემის უნივერსიტეტი) კოლაბორაციით. პროგრამა შედგება 240 ECTS კრედიტისგან, სადაც 230 კრედიტი ეთმობა სავალდებოლო, ხოლო 10 კრედიტი არჩევით სასწავლო კურსებს. პროგრამის ბოლო, VIII სემესტრი ეთმობა საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას და პრაქტიკულ სასწავლო კურსს სიმულაციის სახით.

პროგრამის სტრუქტურა შედგება მრავალფეროვანი სასწავლო კურსებისგან, რომლებიც ასახავს პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა ქვედარგებსა და სხვადასხვა ასპექტებს; საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტებს; პრაქტიკული, ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უსდ-ში აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 20 თებერვალს და წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით - განხორციელდა ინტერვიუები უსდ-ს ადმინისტრაციასთან და ხარისხის მართვის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან. გარდა ინტერვიუებისა, განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიალურ და კონსტრუქციულ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
1.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.4. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.4. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.5. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5.2. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

5.3. შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

რეკომენდაციები

1.4.

- **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას სავალდებულო არჩევითი კომპონენტი, გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევანის შესაძლებლობა პოლიტიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული ახალი სასწავლო კურსების დამატებით და/ან ზოგიერთი ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლით, რომელიც შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობებთან/საერთაშორისო პოლიტიკასთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაცია ჩანაცვლდეს პოლიტიკის სიმულაციით პროგრამის სტრუქტურის პროგრამის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობითვის.
- **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსის „აკადემიური ინგლისური II“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „აკადემიური ინგლისური I“; ეკონომიკის შემსწავლელი სასწავლო კურსები („ეკონომიკა I“, „ეკონომიკა II“, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“) წინაპირობებით დაუკავშირდეს ერთმანეთს; პოლიტიკის მეცნიერების შესავალი სასწავლო კურსი/კურსები განისაზღვროს წინაპირობად ისეთი სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა სავალდებულო კურსი „პოლიტიკის ანალიზის კონკურენტული მიდგომები“ და ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტს განიხილავს; სასწავლო კურსი „ევროკავშირი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის „კონფლიქტი და სტაბილურობა ევროპაში“.

4.4

- **რეკომენდებულია,** თითოეული სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

1.1.

- **სასურველია,** მოხდეს მიზნების პირველი ნაწილის რეფორმულირება პროგრამის მიზნების უფრო ნათლად ჩამოყალიბებისათვის.
- **სასურველია,** პროგრამის მიზნებში დასაქმების ბაზარი დაკონკრეტდეს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზარი.

1.4.

- **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, პროგრამის სტრუქტურის მოქნილობისა და სტუდენტებისთვის მობილობის პროცესის გამარტივებისთვის.

1.5.

- **სასურველია,** ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა შინაარსის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის მუდმივი განახლება (მაგ. „ევროკავშირი“, „საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაციები“, „გლობალური უსაფრთხოება“, საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი სხვადასხვა სასწავლო კურსები და სხვ.), სავალდებულო ან დამატებით

ლიტერატურაში მიეთითოს ოფიციალური ვებგვერდები და სხვა განახლებადი ინტერნეტ რესურსები.

- **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილ იქნას ერთზე მეტი მასალით.
- **სასურველია,** სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ სათაურად შერჩეულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობები ან საერთაშორისო პოლიტიკა.
- **სასურველია,** სასწავლო კურსის „დიპლომატიის ისტორია“ შინაარსში გათვალისწინებულ იქნას ციფრული დიპლომატია.
- **სასურველია,** საბაკალავრო ნაშრომის მიზნებსა და მთლიან სილაბუსში გადაიხედოს და რეფორმულირდეს კვლევასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სწავლების საფეხურთან შესაბამისობისთვის, სილაბუსის ქართულენოვანი თარგმანი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე.

2.4.

- **სასურველია,** სტუდენტთა წახალისების მიზნით, ლექცია-სემინარებზე აქტიურობისთვის შემუშავდეს შეფასების დამატებითი სქემა.
- **სასურველია,** მაქსიმალურად გაკონტროლდეს სტუდენტთა საბოლოო შეფასების ეტაპები და დადგენილ ვადებში აისახოს შესაბამისი ქულა ბაზაში.

3.1.

- **სასურველია,** კიდევ უფრო გააქტიურდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და გამრავალფეროვნდეს გაცვლითი პროგრამები;
- **სასურველია,** უნივერსიტეტთაშორისი ხასიათი მიიღოს სტუდენტურმა კონფერენციებმა.

4.4.

- **სასურველია,** უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ იქნას არსებული ელექტრონული პორტალის ეფექტური მუშაობა ან ახალი ელექტრონული პორტალის შემენა სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის უწყვეტი კომუნიკაციისთვის.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

უსდ-ს ბრიტანულ უნივერსიტეტთან (ბუკინგემის უნივერსიტეტი) კოლაბორაცია, რომელიც მოიაზრებს სხვადასხვა მექანიზმებს: ბუკინგემის უნივერსიტეტი ახდენს პროგრამის ვალიდაციას, ჩართულია სტუდენტთა შეფასების პროცესში, ახდენს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ინიცირებას, სტუდენტებს ეძლევათ საშუალება მიიღონ ბუკინგემის უნივერსიტეტის სერთიფიკატი.

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, უსდ-მ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და დამატებითი დოკუმენტაცია. არგუმენტირებული პოზიცია მოიცავს არგუმენტებს ორი რეკომენდაციის შესახებ, რომლებიც გაცემული იყო

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ 4.4. ქვესტანდარტში. პირველი რეკომენდაცია გულისხმობს საბიბლიოთეკო რესურსს, და რეკომენდაციის თანახმად, უსდ-მ უნდა უზრუნველყოს კურიკულუმის ყველა სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის წარმოდგენა ბიბლიოთეკაში. უსდ-ის არგუმენტით, ლიტერატურის შეძენა მოხდება ეტაპობრივად, ვინაიდან პროგრამაზე ჯერ მხოლოდ პირველი კურსი ფუნქციონირებს. უსდ-მ ასევე წარმოადგინა დოკუმენტაცია წიგნების დაგეგმილი შესყიდვის შესახებ (უნდა აღინიშნოს, რომ წიგნების შესყიდვის შესახებ დოკუმენტაცია წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციო მასალებშიც). აღნიშნული არგუმენტი არ იქნა გათვალისწინებული სააკრედიტაციო ჯგუფის მიერ. აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, ახალი პროგრამის წარმოდგენის შემთხვევაშიც, როდესაც უსდ-ს მიღებაც კი არ აქვს გამოცხადებული, უსდ ვალდებულია პროგრამის სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილი იყოს უსდ-ის ბიბლიოთეკაში. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებული რეკომენდაციის შესრულების პროცესში და სასწავლო ლიტერატურასთან დაკავშირებული რჩევების გათვალისწინების შემთხვევაში, უსდ-ს მოუწევს ლიტერატურის სიის გადახედვა/გამრავალფეროვნება.

4.4. ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაცია შეეხებოდა არსებული ელექტრონული პორტალის გაუმჯობესებას ან ახალი ელექტრონული პორტალის შეძენას. განხორციელებული ვიზიტის დროს უსდ-ის წარმომადგენლების მიერ გაჟღერდა, რომ იგეგმებოდა ცვლილებები აღნიშნული მიმართულებით, თუმცა მოსალოდნელი ცვლილებები არ იყო დაკონკრეტებული და დოკუმენტურად დადასტურებული. უსდ-ს მიერ გამოგზავნილი არგუმენტირებული პოზიცია აზუსტებს დაგეგმილ ცვლილებებს და თანდართულია დოკუმენტი ელექტრონული პორტალის ცვლილებასთან დაკავშირებით. სააკრედიტაციო ჯგუფისთვის მისაღებია წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ერთობლივი გადაწყვეტილებით, აღნიშნული რეკომენდაცია გადატანილ იქნა რჩევების ნაწილში.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის მიზნები გაწერილია ლაკონურად, შედგება სამი პუნქტისგან, სადაც მიზნების პირველი ნაწილი ასახავს თუ რა ტიპის ცოდნის გადაცემაზეა პროგრამა ორიენტირებული; მიზნების მეორე ნაწილი აქცენტს აკეთებს უნარებზე; მიზნების მესამე ნაწილი აქცენტს აკეთებს ტრანსფერულ უნარებსა და კურსდამთავრებულის კონკურენტუნარიანობაზე შრომის ბაზარზე:

- სტუდენტებს მისცეს ფართო ცოდნა პოლიტიკის მეცნიერების ძირითადი პრობლემების შესახებ, გააცნოს მათ დარგის ძირითადი თეორიები, ცნებები და მეთოდები;
- განუვითაროს მათ პოლიტიკური მოვლენების კრიტიკული ანალიზისა და შეფასების, თვითგანვითარების, ანალიტიკურ ნაშრომებზე მუშაობისა და მათი დამუშავების უნარი;
- აღჭურვოს ისინი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარებით, რაც უზრუნველყოფს მათ კონკურენტუნარიანობას დასაქმების ბაზარზე.

პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, მიზნები რეალისტური და მიღწევადია. უნდა აღინიშნოს, რომ მიზნების პირველმა პუნქტმა შესაძლებელია გააჩინოს გარკვეული ბუნდოვანება სტუდენტობის მსურველთათვის (განსაკუთრებით, ქართულ თარგმანში), ვინაიდან ამჟამინდელი ფორმულირებით, შესაძლებელია „პოლიტიკის მეცნიერების პრობლემები, თეორიები, ცნებები და მეთოდები“ აღქმულ იქნას ვიწრო გაგებით, მაშინ როდესაც პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერებების სხვადასხვა ქვედარგებისა და მომიჯნავე დარგების/ქვედარგების გაცნობას სტუდენტებისთვის. მიზნების უფრო ნათლად ჩამოყალიბებისთვის, სასურველია მოხდეს მიზნების პირველი პუნქტის რეფორმულირება. **სასურველია,** მოხდეს მიზნების პირველი ნაწილის რეფორმულირება პროგრამის მიზნების უფრო ნათლად ჩამოყალიბებისათვის.

მიზნების მესამე ნაწილში მოხსენიებულია დასაქმების ბაზარი, თუმცა არ კონკრეტდება ეროვნული ბაზარი იგულისხმება თუ საერთაშორისო. ვინაიდან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურენოვანია და როგორც კონკრეტულ პროგრამასთან, ასევე ზოგადად უსდ-სთან მიმართებით დასტურდება ინტენსიური ინტერნაციონალიზაციის პროცესების არსებობა, სასურველია ინტერნაციონალიზაცია ასახულ იქნას პროგრამის

მიზნებშიც. **სასურველია,** პროგრამის მიზნებში დასაქმების ბაზარი დაკონკრეტდეს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზარი.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს (პოლიტიკის მეცნიერება) და საბაკალავრო სწავლების საფეხურის თავისებურებებს („მისცეს ფართო ცოდნა“). მიზნებში კრიტიკულ აზროვნებაზე, პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებზე აქცენტი შესაბამისობაშია პროგრამის სტრუქტურასთან და ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებსა.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე ჩატარებული ინტერვიუებით, დასტურდება რომ დაინტერესებული მხარეები იზიარებენ პროგრამის მიზნებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ის მისიას და განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის უსდ-ის ვებგვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ს მისია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები https://www.britishuni.edu.ge/ge/blog/category/29
- შრომის ბაზრის კვლევა და კვლევის მონაცემები
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებ გვერდი https://www.britishuni.edu.ge/ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, მოხდეს მიზნების პირველი ნაწილის რეფორმულირება პროგრამის მიზნების უფრო ნათლად ჩამოყალიბებისათვის.

სასურველია, პროგრამის მიზნებში დასაქმების ბაზარი დაკონკრეტდეს როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზარი.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.1 **პროგრამის მიზნები**	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის „პოლიტიკის მეცნიერება“ სწავლის შედეგები გაწერილია დეტალურად და მოიცავს პროგრამის შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს. პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, შეესაბამება სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლის სფეროს სპეციფიკას და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. პროგრამის სტრუქტურისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსების გათვალისწინებით, წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა ასახავს პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სასწავლო კურსები გადის ამა თუ იმ შედეგის სხვადასხვა დონეებზე (1-გაცნობა, 2-გაღმავება, 3-განმტკიცება), ხოლო მერვე სემესტრში გათვალისწინებული საბაკალავრო ნაშრომი სწავლის ყველა შედეგის მესამე დონეზე. წარმოდგენილი რუკა ლოგიკურია და არ ტოვებს შეკითხვებს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციის პროცესს და სწავლის შედეგების რეალური რუკის შედგენა შესაძლებელი იქნება მხოლოდ პრაქტიკაში დაკვირვების შემდეგ. სწავლის შედეგების გაზომვადობისთვის უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, სადაც დეტალურად არის აღწერილი, როგორ მოხდება სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასება და რეაგირება (იხ. დაწვრილებით 1.3. ქვესტანდარტში). გარდა აღნიშნული რუკისა, უსდ-მ წარმოადგინა პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკა.

უსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბაზრის კვლევა ეყრდნობა საერთაშორისო კვლევებს, უსდ-ს მიერ ჩატარებულ კვლევას ფოკუს-ჯგუფებთან (სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით) და საქართველოში მოქმედი მსგავსი კვალიფიკაციის საბაკალავრო პროგრამების შესწავლას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, პრიორიტეტად იკვეთება დარგობრივი თემატიკის მრავალფეროვნება და სტუდენტის/კურსდამთავრებულის ანალიტიკური/პრაქტიკული/ტრანსფერული უნარები. წარმოდგენილი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს დასახელებულ პრიორიტეტებს და შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. გარდა შრომის ბაზრის კვლევის დოკუმენტისა, დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროგრამის სწავლი შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, დამსაქმებელი) ჩართულობა დასტურდება ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით. ჩატარებული ინტერვიუებით ასევე დასტურდება, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- კურიკულუმის რუკები

- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები
- შრომის ბაზრის კვლევა და კვლევის მონაცემები
- ინტერვიუს შედეგები
- უსდ-ის ვებ გვერდი https://www.britishuni.edu.ge/ge

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხდება შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების მეშვეობით. შეფასების პირდაპირი მეთოდების სახით გამოიყენება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი და პროგრამის სწავლის შედეგების შედარება წინასწარ განსაზღვრულ სამიზნე ნიშნულებთან. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება და ანალიზი მოიაზრებს სტუდენტის საბოლოო შეფასების შედეგებზე დაკვირვებას ყველა სავალდებულო კომპონენტის მიხედვით. დაწესებულებაში მოცემულ ეტაპზე პროგრამის თითოეული შედეგის შესაფასებლად ჯგუფდება პროგრამის ის სავალდებულო სასწავლო კურსები, რომლებიც გათვალისწინებულია აღნიშნული შედეგის მიღწევაში. სწავლის შედეგის მიღწევის სამიზნე ნიშნული განსაზღვრულია შემდეგნაირად: სწავლის შედეგი მიიჩნევა მიღწეულად, თუ მინიმუმ 80% ფასდება 51 და მეტი ქულით (E - საკმარისი), იმ აუცილებელი პირობით, რომ სტუდენტს გადალახული აქვს შესაბამისი კომპონენტით განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მინიჭებული აქვს კრედიტი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ხაზი უნდა გაესვას, რომ დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსისთვის განსაზღვრული აქვს, პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევის თვალსაზრისით თუ რომელი დონის სასწავლო კურსს წარმოადგენს მოცემული საგანი (1-გაცნობა, 2-გაღმავება, 3-განმტკიცება). უსდ-ს შემუშავებული აქვს სქემა, სადაც მითითებულია თითოეული სწავლის შედეგის გასაზომად გამოსაყენებელი კონკრეტული აქტივობა/შეფასების მეთოდი.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების არაპირადაპირი მეთოდების სახით გამოიყენება შემდეგი ინსტრუმენტები: პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკა; პროგრამის დასრულების მაჩვენებელი; პროგრამაზე მობილობის მაჩვენებელი;

კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკა, მათ შორის სპეციალობის მიხედვით; დაინტერესებული მხარეების (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) გამოკითხვის შედეგები (როგორც ელექტრონული, ისე „მრგვალი მაგიდის“ პრინციპით).

პროგრამის ფარგლებში სწავლის შედეგების შეფასება ზემოაღნიშნული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მიხედვით ჯერ არ განხორციელებულა. ამასთან, პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა და პროგრამის სილაბუსები;
- საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკები;
- დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- საბაკალავრო პროგრამის შეფასების შესახებ გარე ექსპერტის დასკვნა;
- ბუკინგემის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ჩატარებული ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების წარმომადგენლებთან;
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა „პოლიტიკის მეცნიერება“ აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. ასევე, პროგრამა შემუშავებულია უსდ-ის „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“ მეთოდოლოგიის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს როგორც

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შეტანის წესებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 240 ECTS. აქედან 230 ECTS განკუთვნილია სავალდებულო კომპონენტისთვის, ხოლო 10 ECTS არჩევითი სასწავლო კურსებისთვის. პროგრამაზე თანდართულია სასწავლო კურსების სილაბუსები - 28 სავალდებულო და 4 არჩევითი კურსის სილაბუსი.

სასწავლო კურსების კრედიტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 12 სავალდებულო კურსი 5 ECTS, 15 სავალდებულო კურსი 10 ECTS, სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი 20 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსები 5 ECTS.

სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა არ აჩენს შეკითხვებს. სააკრედიტაციო ჯგუფს აქვს გარკვეული მოსაზრებები თავად პროგრამის სტრუქტურის მიმართ და ჯგუფის წევრების აზრით, არჩევითი სასწავლო კომპონენტის მოცულობა (10 ECTS) არ არის საკმარისი სწავლების საფეხურისა და სტუდენტების ინტერესის გათვალისწინებით, პროგრამის სტრუქტურა იყოს მოქნილი. გარდა ამისა, მწირია არჩევანის შესაძლებლობაც, სტუდენტს მხოლოდ ორიდან ერთი სასწავლო კურსის არჩევა შეუძლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას სავალდებულო არჩევითი კომპონენტი, გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევანის შესაძლებლობა პოლიტიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული ახალი სასწავლო კურსების დამატებით და/ან ზოგიერთი ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლით, რომელიც შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობებთან/საერთაშორისო პოლიტიკასთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პროგრამის სტრუქტურა ასევე არ ითვალისწინებს თავისუფალ კრედიტებს, ვინაიდან ამ ეტაპზე უსდ-ში არ არის საბაკალავრო პროგრამების არჩევანი. უსდ გეგმავს ახალი პროგრამების შემუშავებას და მომავალში, **სასურველია,** პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, პროგრამის სტრუქტურის მოქნილობისა და სტუდენტებისთვის მობილობის პროცესის გამარტივებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი საინტერესო და კომპლექსურია, გამოირჩევა ინდივიდუალურობით და შეესაბამება სწავლების საფეხურს. აღსანიშნავია, რომ გარდა პოლიტიკის მეცნიერების სხვადასხვა ქვედარგების/საკითხების შემსწავლელი სასწავლო კურსებისა, პროგრამაში აქცენტი კეთდება ისეთ სასწავლო კურსებზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პრაქტიკული, ტრანსფერული და ანალიტიკური უნარების გამომუშავებას, რაც პროგრამის დადებითი მახასიათებელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სტრუქტურაში დიდი ადგილი ეთმობა საერთაშორისო საკითხების შესწავლას, რაც ერთგვარ დისბალანსს ქმნის პოლიტიკის საკითხების შემსწავლელ სასწავლო კურსებთან მიმართებით, რომელთა სილაბუსებში ასევე ინტეგრირებულია საერთაშორისო ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი. ვფიქრობთ, ზემოთ წარმოდგენილი რეკომენდაციის შესრულება (საერთაშორისო ურთიერთობებთან/საერთაშორისო პოლიტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის სავალდებულო სტატუსის შეცვალა) უზრუნველყოფს აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მე-8 სემესტრში წარმოდგენილ სავალდებულო 10 კრედიტიან სიმულაციაზე, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაციას და არა პოლიტიკის სიმულაციას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაციის ჩანაცვლება პოლიტიკის სიმულაციით. დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუების პროცესში დადგინდა, რომ დამსაქმებლებს დიდი გამოცდილება აქვთ პოლიტიკის სიმულაციების მიმართებით და გამოთქვამენ მზადყოფნას, დახმარება გაუწიონ უსდ-ს პოლიტიკის სიმულაციის შემუშავებაში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** პროგრამის

სტრუქტურაში საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაცია ჩანაცვლდეს პოლიტიკის სიმულაციით პროგრამის სტრუქტურის პროგრამის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობითვის.

როგორც უკვე აღინიშნა, პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული, სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან კონკრეტულისკენ პრინციპით, თუმცა შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ზოგიერთ შემთხვევაში აჩენს შეკითხვებს. სასწავლო კურსის „აკადემიური ინგლისური II“ წინაპირობა არ არის განსაზღვრული სასწავლო კურსით „აკადემიური ინგლისური I“; ეკონომიკის შემსწავლელი სასწავლო კურსები („ეკონომიკა I“, „ეკონომიკა II“, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“) არ არის წინაპირობებით ერთმანეთთან დაკავშირებული; არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია წინაპირობების გარეშე; სასწავლო კურსის „პოლიტიკის ანალიზის კონკურენტული მიდგომები“ ერთადერთი წინაპირობაა „სოციალური და პოლიტიკური კვლევის მეთოდები“ და არა პოლიტიკის შემსწავლელი შესავალი კურსები; სასწავლო კურსი „ევროკავშირი“ არ არის განსაზღვრული წინაპირობად ისეთი სასწავლო კურსისთვის, როგორიცაა „კონფლიქტი და სტაბილურობა ევროპაში“. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, **რეკომენდებულია,** სასწავლო კურსის „აკადემიური ინგლისური II“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „აკადემიური ინგლისური I“; ეკონომიკის შემსწავლელი სასწავლო კურსები („ეკონომიკა I“, „ეკონომიკა II“, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“) წინაპირობებით დაუკავშირდეს ერთმანეთს; პოლიტიკის მეცნიერების შესავალი სასწავლო კურსი/კურსები განისაზღვროს წინაპირობად ისეთი სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა სავალდებულო კურსი „პოლიტიკის ანალიზის კონკურენტული მიდგომები“ და ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტს განიხილავს; სასწავლო კურსი „ევროკავშირი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის „კონფლიქტი და სტაბილურობა ევროპაში“.

მისიიდან გამომდინარე უსდ აქტიურად თანამშრომლობს ბრიტანულ უნივერსიტეტთან (ბუკინგემის უნივერსიტეტი) და როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით ირკვევა, ბრიტანელი პარტნიორები აქტიურად იყვნენ ჩართული პროგრამის სტრუქტურის შემუშავებაში, რაც პროგრამის დადებითი მახასიათებელია და უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურაში სფეროს თანამედროვე მიღწევების ასახვას. აღნიშნული პარტნიორობა უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურის პარტნიორი უნივერსიტეტის კურიკულუმთან თავსებადობას და ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივებს. წარმოდგენილი პროგრამა ინგლისურენოვანია და შესაბამისად, სასწავლო კურსების როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურა სრულად ინგლისურენოვანია, რაც ასევე ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ჩატარებული ინტერვიუებით.

პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას უსდ უზრუნველყოფს ვებგვერდის საშუალებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები“
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- კურიკულუმის რუკა;
- პარტნიორი უნივერსიტეტის (ბუკინგემის უნივერსიტეტი) ყოველწლიური ვიზიტის რეპორტი
- უსდ-ის თვითშეფასების ანგარიში
- უსდ-ის ვებ გვერდი https://www.britishuni.edu.ge/ge
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას სავალდებულო არჩევითი კომპონენტი, გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების საკრედიტო მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევანის შესაძლებლობა პოლიტიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული ახალი სასწავლო კურსების დამატებით და/ან ზოგიერთი ისეთი სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსის შეცვლით, რომელიც შეისწავლის საერთაშორისო ურთიერთობებთან/საერთაშორისო პოლიტიკასთან და საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაცია ჩანაცვლდეს პოლიტიკის სიმულაციით პროგრამის სტრუქტურის პროგრამის სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობითვის.

რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „აკადემიური ინგლისური II“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „აკადემიური ინგლისური I“; ეკონომიკის შემსწავლელი სასწავლო კურსები („ეკონომიკა I“, „ეკონომიკა II“, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“) წინაპირობებით დაუკავშირდეს ერთმანეთს; პოლიტიკის მეცნიერების შესავალი სასწავლო კურსი/კურსები განისაზღვროს წინაპირობად ისეთი სასწავლო კურსებისთვის, როგორიცაა სავალდებულო კურსი „პოლიტიკის ანალიზის კონკურენტული მიდგომები“ და ის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც პოლიტიკის ამა თუ იმ ასპექტს განიხილავს; სასწავლო კურსი „ევროკავშირი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის „კონფლიქტი და სტაბილურობა ევროპაში“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულ იქნას თავისუფალი კრედიტები, პროგრამის სტრუქტურის მოქნილობისა და სტუდენტებისთვის მობილობის პროცესის გამარტივებისთვის.

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა შედგება პოლიტიკის მეცნიერების/პოლიტიკის მეცნიერებების/სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა ქვედარგისა და ასპექტების შემსწავლელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან, რომელთაგან ზოგიერთის მოცულობაა 5 ECTS, და ზოგიერთის 10 ECTS . სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სილაბუსების შინაარსს და უზრუნველყოფს სასწავლო კურსის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაწერილია დეტალურად და შესაბამისია სილაბუსების შინაარსებთან. სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის შედეგებს. სასწავლო კურსების საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის/საგნის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ამ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება სხვადასხვა მეთოდებით და ასევე ასახულია უსდ-ს მიერ წარმოადგენილ რუკებშიც. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა პირველად გადის აკრედიტაციის პროცესს, და თითოეული სასწავლო კურსის შედეგების შეფასება დაიხვეწება პრაქტიკაში, რისთვისაც უსდ-ს აქვს მექანიზმები (იხ. დეტალები 1.3 ქვესტანდარტში).

პროგრამა ინგლისურენოვანია და შესაბამისად, ყველა სასწავლო კურსის სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა ინგლისურენოვანია, რაც უზრუნველყოფს სფეროს თანამედროვე კვლევების გათვალისწინებას. გარდა აღნიშნულისა, უსდ-მ პროგრამა შეიმუშავა პარტნიორ ბრიტანულ უნივერსიტეტთან (ბუკინგემის უნივერსიტეტი) კოლაბორაციით და მიღებული აქვს პარტნიორის მხრიდან ვალიდაცია, რაც გულისხმობს როგორც პროგრამის სტრუქტურის, ასევე სასწავლო კურსების შინაარსებსა და ლიტერატურას.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის/საგნის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სასწავლო მასალად გამოყენებული სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალისა, **სასურველია,** ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა შინაარსის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის მუდმივი განახლება (მაგ. „ევროკავშირი“, „საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაციები“, „გლობალური უსაფრთხოება“, საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი სხვადასხვა სასწავლო კურსები და სხვ.), სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს ოფიციალური ვებგვერდები და სხვა განახლებადი ინტერნეტ რესურსები.

ზოგიერთი სასწავლო კურსი ეფუძნება მხოლოდ ერთ სავალდებულო სახელმძღვანელოს, რაც თავად სასწავლო კურსების შინაარსებისა და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, არ ქმნის პრობლემას. თუმცა, **სასურველია,** სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილ იქნას ერთზე მეტი მასალით.

სასწავლო კურსების სათაურები შესაბამისია სილაბუსების შინაარსთან. გარკვეულ შეკითხვებს აჩენს სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“, რომელსაც უძღვება უცხოელი პროფესორი. სილაბუსი დაფუძნებულია წიგნზე, რომელიც არის სხვადასხვა სტატიების კრებული და არა სახელმძღვანელოს ტიპის წიგნი. გარდა ამისა, აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის წინაპირობაა „საერთაშორისო გარემო“, რომლის შინაარსშიც ინტეგრირებულია საერთაშორისო ურთიერთობების სკოლებისა და თეორიების შესახებ საბაზისო ცოდნა. შესაბამისად, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ როგორც შინაარსის, ასევე გამოყენებული ლიტერატურის, წინაპირობად მითითებული სასწავლო კურსის შინაარსის და სწავლების საფეხურის გათვალისწინებით, არ წარმოადგენს შესავალ კურსს და ლოგიკური იქნებოდა სათაურიდან სიტყვა „შესავლის ამოღება“. **სასურველია,** სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ სათაურად შერჩეულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობები ან საერთაშორისო პოლიტიკა.

სასწავლო კურსის „დიპლომატიის ისტორია“ შინაარსი არის საინტერესო და პოლიტიკის მეცნიერების სფეროს სპეციფიკასთან კარგად მორგებული, რაც მისასალმებელია.

სასურველია, სასწავლო კურსის „დიპლომატიის ისტორია“ შინაარსში გათვალისწინებულ იქნას ციფრული დიპლომატია.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსიც. სილაბუსში დეტალურად არის გაწერილი სამუშაო გრაფიკი და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ სილაბუსს მითითებული აქვს დამხმარე ლიტერატურის სიაც, რომელიც შედგება კვლევის მეთოდოლოგიის შემსწავლელი სახელმძღვანელოებისგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსის მიზნების ქართულენოვან თარგმანში იხსენიება ტერმინი „სამაგისტრო“ („სამაგისტრო პროგრამასთან შესაბამისი თემა“), მაშინ როდესაც სილაბუსის ინგლისურენოვან ორიგინალში აღნიშნული ტერმინი არ გვხვდება („a topic relevant to their degree programme“). აღნიშნული ხარვეზი ტექნიკური ხასიათისაა. თუმცა სასურველია, თარგმანებში არ იქნას დაშვებული ტექნიკური ხარვეზები. გარდა აღნიშნულისა, საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსის მიზნებში ორჯერ ხაზგასმით არის აღნიშნული „ორიგინალური კვლევა“ (როგორც ინგლისურენოვან ორიგინალში, ასევე ქართულენოვან თარგმანში). სილაბუსის სხვა ნაწილებში ფორმულირება არაერთგვაროვანია და რთულია გადაჭრით თქმა, რომ სილაბუსის მიზნები ან თავად შინაარსი არ შეესაბამება სწავლების საფეხურს, თუმცა ჩნდება გარკვეული შეკითხვები ამ მიმართულებით. **სასურველია,** საბაკალავრო ნაშრომის მიზნებსა და მთლიან სილაბუსში გადაიხედოს და რეფორმულირდეს კვლევასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სწავლების საფეხურთან შესაბამისობისთვის, სილაბუსის ქართულენოვანი თარგმანი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით
- კურიკულუმის რუკები
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ისეთ სასწავლო კურსებს, რომელთა შინაარსის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ინფორმაციის მუდმივი განახლება (მაგ. „ევროკავშირი“, „საერთაშორისო სამართალი და ორგანიზაციები“, „გლობალური უსაფრთხოება“, საგარეო პოლიტიკის შემსწავლელი სხვადასხვა სასწავლო კურსები და სხვ.), სავალდებულო ან დამატებით ლიტერატურაში მიეთითოს ოფიციალური ვებგვერდები და სხვა განახლებადი ინტერნეტ რესურსები.

სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა წარმოდგენილ იქნას ერთზე მეტი მასალით.

სასურველია, სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ სათაურად შერჩეულ იქნას საერთაშორისო ურთიერთობები ან საერთაშორისო პოლიტიკა.

სასურველია, სასწავლო კურსის „დიპლომატიის ისტორია“ შინაარსში გათვალისწინებულ იქნას ციფრული დიპლომატია.

სასურველია, საბაკალავრო ნაშრომის მიზნებსა და მთლიან სილაბუსში გადაიხედოს და რეფორმულირდეს კვლევასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია სწავლების საფეხურთან შესაბამისობისთვის, სილაბუსის ქართულენოვანი თარგმანი წარმოდგენილ იქნას ტექნიკური ხარვეზების გარეშე.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა ითვალისწინებს გამჭირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომ ინფორმაციას პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ. აღნიშნული მოთხოვნები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები.

აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს შემდეგი სავალდებულო საგნები:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. ერთიანი ეროვნული გამოცდებზე რეგისტრაციის დროს აპლიკანტმა უნდა აირჩიოს ინგლისური ენა. მან უნდა გადალახოს ინგლისური ენის გამოცდაზე კომპეტენციის ზღვარი 75 %.
3. გარდა ამისა აბიტურიენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებში უნდა ჩააბაროს მათემატიკა/ისტორია/სამოქალაქო განათლება/ გეოგრაფია.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი დაშვების წესისა და ვადის საფუძველზე აღნიშნულ პროგრამაზე შეიძლება დაშვებულ იქნეს შემდეგი აპლიკანტები:

ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება;

ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;

გ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში უცხო ქვეყანაში ცხოვრობდნენ არანაკლებ 75 დღისა ერთ-ერთი სემესტრის განმავლობაში და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

,,ა", ,,ბ" და ,,გ" პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან გაიარონ ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ტესტი პროგრამის ენის (ინგლისური ენა B2) ცოდნის დადგენის მიზნით. განმცხადებელს, რომელსაც აქვს ინგლისური ენის საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატი ან ზოგად/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სრულად ან ნაწილობრივ ისწავლა ინგლისურ ენაზე არ მოეთხოვება ენის ტესტის.

„დ" პუნქტით გათვალისწინებული პირები ბრიტანულ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების უფლებას მოიპოვებენ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ზოგადი უნარების გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

სხვა დაშვების კრიტერიუმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც განსაზღვრულია საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის 29 დეკემბრის №224 ბრძანებით "უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ".

მობილობის შემთხვევაში პროგრამაზე მიღება ასევე შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე, ბრიტანულ უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩაბარების მოთხოვნები და დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამით გათავლისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას და სასწავლო პროცესის მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- უსდ-ის ვებგვერდი - https://www.britishuni.edu.ge/ge/blog/view/2/politikis-metsniereba

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს აქცენტი ტრანსფერული უნარების შეძენასა და განვითარებაზე, რაც ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას ინტერდისციპლინური ხასიათის კურიკულუმის შემთხვევაში. პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში ისწავლება ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, რომელიც უვითარებს სტუდენტებს კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს, კვლევით და კითხვით ჩვევებს; აკადემიური წერის ძირითადი უნარების კურსი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური წერის სტანდარტების და წესების შესაბამის გამოყენებას სხვადასხვა ტიპის ნაშრომის მომზადების პროცესში. მათემატიკის საფუძვლების სასწავლო კურსი მიზნად ისახავს საშუალება მისცეს სტუდენტებს გამოიყენონ მათემატიკის ცოდნა პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ასევე მოიცავს სასწავლო კურსებს, რომელთა მეშვეობითაც სტუდენტები კვლევის მიმართულებით იღებენ ცოდნას და შესაბამის პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ. ასეთია სავალდებულო სასწავლო კურსი სოციალური და პოლიტიკური კვლევის მეთოდები, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები კვლევის დიზაინისა და ანალიზის ძირითად პრინციპებს, რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კვლევის ჩატარებისათვის საჭირო სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენების უპირატესობებს, ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და კვლევის ჩატარების თავისებურებებს ეცნობიან. ასევე, სასწავლო კურსი სტუდენტებს გააცნობს რამდენიმე საბაზისო კვლევის უნარს, რომლის განვითარებასაც ისინი განაგრძობენ პროგრამის განმავლობაში. აღნიშნული მოიცავს გამოკითხვის, შედარების მეთოდებს და რაოდენობრივი კვლევის განხორციელებას. განხილულია გამოყენებული თეორიული იდეებისა და მეთოდოლოგიების ძლიერი და სუსტი მხარეები.

მერვე სემესტრში პროგრამა სტუდენტებს სავალდებულო კურსის სახით სთავაზობს საბაკალავრო ნაშრომს. როგორც ეს ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, სტუდენტებს მოეთხოვებათ, წარმოადგინონ მასალის კრიტიკული ანალიზი, ნაშრომის ბოლოს ჩამოაყალიბონ დასკვნები, დაიცვან ციტირების წესები და პლაგიატთან დაკავშირებული ნორმები, რაც

თანმიმდევრულად აძლიერებს მათ მულტიდისციპლინარულ სამეცნიერო-კვლევით უნარებს.

მისასალმებელია ასეთი სასწავლო კურსის შემოთავაზება როგორიცაა საერთაშორისო ურთიერთობების სიმულაცია, სადაც განიხილება ორგანიზაციული ქცევა და ბიუროკრატიული პოლიტიკა; სტუდენტებს უყალიბდებათ საკუთარი პოზიცია, როგორც ზეპირად ისე წერილობით. კურსის მონაწილეები აანალიზებენ საერთაშორისო პოლიტიკაში მთავარ, კონფლიქტის საკითხებს. უნდა აღინიშნოს, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, შინაარსობრივად სიმულაციების კურსი უნდა ფარავდეს ისეთ საკითხებს რომლებიც უკავშირდება პოლიტიკის მეცნიერების ძირითად საკითხებს (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია გაცემულია 1.4. ქვესტანდარტში).

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია აკადემიურ პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი აკადემიური ნაშრომის მომზადებასთან დაკავშირებული დეტალები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ საგნებს. სასწავლო კურსების მიზნების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის სალექციო და სასემინარო ფორმატი. სასწავლო კურსებში საკონტაქტო საათები და დამოუკიდებელი მეცადინეობა დაბალანსებულია. პროგრამის სასწავლო კურსებში რეალიზებული

სწავლა/სწვლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების სათანადო საფეხურს, სასწავლო კურსების შინაარსსა და სპეციფიკას.

სასწავლო კურსების შინაარსიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; გონებრივი იერიში (Brainstorming); ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დისკუსია-დებატები; პრეზენტაცია; შემთხვევის შესწავლა და ანალიზი (Case Study); გუნდური მუშაობა; წერითი მუშაობის მეთოდი. სწავლება-სწავლის ჩამოთვლილი მეთოდები ერთმანეთს ავსებს; კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში. პროგრამის როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებში გათვალისწინებულია ლექცია-ტუტორიალის კომბინაცია, სადაც ლექციები სტუდენტებს აწვდის ძირითად ინფორმაციას და უზრუნველყოფს ფორუმს კითხვა-პასუხის სესიებისთვის, ხოლო ტუტორიალი უზრუნველყოფს პლატფორმას სტუდენტების ჩართულობისთვის ჯგუფურ სავარჯიშოებში, სიღრმისეულ დისკუსიასა და დებატებში, როგორც მაგალითად პოლიტიკური ანალიზის კონკურენტული მიდგომების და ევროკავშირის საგნების შემთხვევაში (სავალდებულო სასწავლო კურსები). დემოკრატია და პარტიული პოლიტიკის არჩევითი საგნის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა პირველადი და მეორადი წყაროებიდან ინფორმაციის შეგროვებას, ორგანიზებას და ანალიზს, კრიტიკული განსჯას და დასაბუთებული არგუმენტის აგებას. აღნიშნული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესის ფარგლებში ახასიათებს სხვა სასწავლო კურსებსაც, რომლებიც შემოთავაზებულია მესამე და მეოთხე კურსზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების რუკა;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტის ცოდნა ფასდება შეფასების 100-ქულიანი სისტემით. იმისათვის, რომ სტუდენტმა კრედიტი მოიპოვოს, მისი საბოლოო შეფასება მინიმუმ 50%+1 ანუ 51 ქულა უნდა იყოს.

სტუდენტს კრედიტი მიენიჭება იმ შემთხვევაში, თუ:

1. სტუდენტი გადალახავს შუალედური შეფასების მინიმალურ ზღვარს;
2. სტუდენტის შედეგმა გადააჭარბა დასკვნითი გამოცდის მინიმალურ ზღვარს;
3. სტუდენტმა ფინალურ შეფასებაში მაქსიმალური 100 ქულიდან დააგროვა მინიმუმ 51 ქულა.

პროგრამის სასწავლო კურსებში სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს ორ ძირითად კომპონენტს: შუალედური და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი მაქსიმუმ 100 ქულა უნდა იყოს.

შუალედურ და დასკვნით შეფასებას სტუდენტი როგორც ვერბალური, ისე წერილობითი სახის დავალებების შესრულებით იღებს. კერძოდ: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ. უფრო დეტალურად რომ ჩავშალოთ აღნიშნული დავალებები, ის შემდეგი ტიპისაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ. ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტი შეფასებებს ყოველკვირეული აქტივობებით ვერ იღებს, რაც, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სტუდენტებში გარკვეულ დემოტივაციას იწვევს და სალექციო პროცესში მათი ნაკლები ჩართულობით გამოიხატება. **სასურველია,** სტუდენტთა წახალისების მიზნით, ლექცია-სემინარებზე აქტიურობისთვის შემუშავდეს შეფასების დამატებითი სქემა.

რაც შეეხება შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, ისინი წერილობით ტარდება და გამოცდების ცენტრის მიერაა ორგანიზებული. შუალედური გამოცდისთვის მინიმალური ზღვარი არის 35%, ხოლო დასკვნითი გამოცდისთვის - 50%.

ბრიტანულ უნივერსიტეტს აქვს შეფასების შემდეგი სისტემა:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი / საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი დამატებით გამოცდაზე დაიშვება იმ შემთხვევაშიც, თუ მან გადალახა საბოლოო დადებითი შეფასება (51 ქულა), მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი.

რაც შეეხება სტუდენტთა ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების ეტაპებს, შემდეგი სახისაა: სტუდენტს აქვს უფლება, გაასაჩივროს მიღებული შეფასება ქულის გაგებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში. უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს ბუკინგემის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი), რაც გამოიხატება იმაში, რომ დავალებები, საგამოცდო საკითხები და შეფასებები სწორედ ბუკინგემის უნივერსიტეტთანაა შეთანხმებული. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტის შეფასების ნაწილში ბუკინგემის უნივერსიტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, კერძოდ: სტუდენტის საგამოცდო ნაშრომს ჯერ ადგილზე აფასებს ორი კოლეგა, რის შემდეგაც ის იგზავნება ბუკინგემის უნივერსიტეტში, რათა ნაშრომი გარე შემფასებლისგანაც შეფასდეს. საბოლოო ქულა კი Exam Board-ზე დგინდება.

ვინაიდან სტუდენტთა ნაშრომები საბოლოო შეფასებამდე მთელ რიგ პროცედურას გადის და რამდენიმე ეტაპისაგან შედგება, ინტერვიუს დროს სტუდენტთა მხრიდან გარკვეული უკმაყოფილება დაფიქსირდა ამ მიმართულებით. კერძოდ, როგორც რამდენიმე მათგანმა აღნიშნა, პროცესი დროშია გაწელილი და ყოფილა შემთხვევა, როდესაც დაირღვა დადგენილი ვადები. შესაბამისად, რამდენადმე ეჭვქვეშ დგას სტუდენტთა შეფასების დროულობის საკითხი. **სასურველია,** მაქსიმალურად გაკონტროლდეს სტუდენტთა საბოლოო შეფასების ეტაპები და დადგენილ ვადებში აისახოს შესაბამისი ქულა ბაზაში.

ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი, რომელშიც დეტალურადაა გაწერილი მიზნები, შედეგები, შეფასების კრიტერიუმები და სხვა რელევანტური ინფორმაცია. ასევე წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი.

ნაშრომზე მუშაობის პროცესში სტუდენტებს საშუალება აქვთ, მხარდაჭერა მიიღონ სამეცნიერო ხელმძღვანელისაგან რეგულარული შეხვედრების საფუძველზე: 15 შეხვედრა უშუალო ხელმძღვანელის ხელმძღვანელობით (კვირაში 2 საათი); ხელმძღვანელი მხარს უჭერს სტუდენტს ნაშრომის შესრულების პროცესში.

ნაშრომს აფასებს სამი მხარე: ხელმძღვანელი - 30 ქულა; რეცენზენტი - 30 ქულა; კომისია - 40 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში თითოეული მხარის მოთხოვნა და შეფასების კრიტერიუმები წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისთვის. ამასთან, სილაბუსში წარმოდგენილია 19 კვირაზე გათვლილი გრაფიკი, რომელშიც საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ეტაპებია გაწერილი.

უნივერსიტეტს აქვს შეფასების გასაჩივრებისა და ანტიპლაგიატის მექანიზმი. სტუდენტის წერითი დავალებები და საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება ანტიპლაგიატის პროგრამაზე. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა წყაროს დამოწმების წესების დარღვევით შეასრულა საბაკალავრო ნაშრომი, ლექტორს/ხელმძღვანელს უფლება აქვს, გაუნულოს ნაშრომი.

რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმს, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიიჩნევს, რომ უსამართლოდ დააკლდა ქულა ან გაუნულდა ნაშრომი, მას გასაჩივრების საშუალება აქვს, რისთვისაც მან შეფასების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს.

საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში ასევე გაწერილია სასწავლო კურსის ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა, რაც დამწყები მკვლევრისთვის მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს და სერიოზულ დახმარებას გაუწევს მას.

სტუდენტთა შეფასებების რეპრეზენტაცია ელექტრონულ პორტალზე, LMS-ზე მიმდინარეობს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ელექტრონული პორტალი LMS არ მუშაობს ეფექტურად და სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, უსდ-ში იგეგმება ცვლილებები ამ მიმართულებით (აღნიშნულ საკითხზე რეკომენდაცია გაცემულია 4.4. ქვესტანდარტში).

აღსანიშნავია, რომ ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომის გარდა, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ბუკინგემის უნივერსიტეტის სერტიფიკატიც, რისთვისაც სტუდენტს დასწრების 70% მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- უნივერსიტეტის საბაკალავრო ნაშრომისა და პროექტის შესრულების წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, სტუდენტთა წახალისების მიზნით, ლექცია-სემინარებზე აქტიურობისთვის შემუშავდეს შეფასების დამატებითი სქემა.

სასურველია, მაქსიმალურად გაკონტროლდეს სტუდენტთა საბოლოო შეფასების ეტაპები და დადგენილ ვადებში აისახოს შესაბამისი ქულა ბაზაში.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

უსდ ცდილობს შექმნას სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, შესთავაზოს სტუდენტებს შესაბამისი სერვისები, ხელი შეუწყოს მათ ინფორმირებას სხვადასხვა სასარგებლო

აქტივობის/პროექტის/ღონისძიების შესახებ, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამა ახალჩარიცხულ სტუდენტებს საორიენტაციო შეხვედრებს სთავაზობს, სადაც პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის დეკანი მათ გზამკვლევებს ურიგებენ და აწვდიან დეტალურ ინფორმაციას პროგრამის შესახებ. აღსანიშნავია, რომ სტუდენტები საუნივერსიტეტო ელ. ფოსტით სარგებლობენ, რაც მათ საშუალებას აძლევს, ყველა სახის ინფორმაცია ერთ სივრცეში მიიღონ.

სტუდენტს საშუალება აქვს, ინდივიდუალური კონსულტაცია მიიღოს თითოეული ლექტორისაგან. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, დამატებითი კონსულტაციები, მათ შორის საკითხის უკეთ გაგებისთვის, წარმატებით განხორციელებულა. საკონსულტაციო საათები გაწერილია თითოეულ სასწავლო კურსში და საშუალოდ 5 საათს მოიცავს. ამასთან, თითოეულ სტუდენტს თავისი მენტორი ჰყავს, რომელიც მას სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვასა და კარიერულ განვითარებაში ეხმარება. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, მენტორი სტუდენტების ინტერესებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ირჩევა. პერსონალური მენტორი სტუდენტებთან სემესტრის განმავლობაში 5 შეხვედრას გეგმავს. მისი დახმარებით, სტუდენტი მონაწილეობს კონფერენციებში. ამ ეტაპზე ჯერჯერობით უნივერსიტეტმა ერთი სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ორგანიზება მოახერხა, რომელიც, როგორც ინტერვიუს დროს გახდა ცნობილი, მხოლოდ შიდასაუნივერსიტეტო მასშტაბის იყო. სამომავლოდ იგეგმება სხვა უსდ-ების სტუდენტების ჩართვაც უსდ-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში. **სასურველია,** უნივერსიტეტთაშორისი ხასიათი მიიღოს სტუდენტურმა კონფერენციებმა.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის, ადმინისტრაციული თუ აკადემიური პერსონალისგან, დეკანისაგან სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია სასწავლო პროცესთან და შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართვას ექსტრაკურიკულურ აქტივობებში, მათ შორის, სასერტიფიკატო კურსებში, რომლებიც უნივერსიტეტის მიერ ფინანსდება. პერმანენტულად ტარდება საჯარო ლექციები.

ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს პერიოდულად სტუმრობს ბუკინგემის უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც ვალიდაციის მექანიზმებსა და სტუდენტთა სწავლის გაგრძელების პერსპექტივებს განიხილავს.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებსა და კომისიებში, ფაკულტეტის საბჭოსა და სენატის საქმიანობაში, ასევე, სტუდენტური გრანტებისა და კვლევითი გრანტების კომისიებში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი, მათ შორის: იოგის, კალათბურთის, ფეხბურთის, ჩოგბურთის, ჭადრაკის, ფილმების, მუსიკისა და წიგნის კლუბები. აღნიშნული კლუბები მრავალფეროვანი სტუდენტური ცხოვრების დასტურია. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტების ფსიქოლოგიურ კონსულტაციას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვაჟა-ფშაველას სახელობის ფონდი, რომელიც სტუდენტებს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს. ეს მხარდაჭერა შეიძლება მოიცავდეს სწავლის საფასურის ნაწილობრივ დაფინანსებას, სტიპენდიას, უნივერსიტეტში დასაქმებას, სტუდენტის იდეის მხარდაჭერას და სხვ.

გაცვლითი პროგრამების მხრივ, როგორც თვითშეფასების დოკუმენტშია აღნიშნული, უნივერსიტეტს მჭიდრო თანამშრომლობა აქვს მეისეის უნივერსიტეტთან იაპონიაში. **სასურველია,** კიდევ უფრო გააქტიურდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და გამრავალფეროვნდეს გაცვლითი პროგრამები.

რაც შეეხება სტუდენტთა გამოკითხვებს, როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, აქვთ სხვადასხვა ტიპის გამოკითხვა, საჭიროებისამებრ არჩევენ გამოკითხვის მეთოდებსაც, კერძოდ: გამომდინარე სტუდენტთა მცირე კონტიგენტისა, გამოკითხვები ფოკუს-ჯგუფის მეშვეობით ტარდება, თუმცა ჰქონიათ რაოდენობრივი გამოკითხვებიც. გამოკითხვებს ყოველ

სემესტრული ხასიათი აქვს, თუმცა სტუდენტების მოთხოვნიდან გამომდინარე, სემესტრის შუალედური გამოკითხვებიც ჩაუტარებიათ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის დებულება;
- ვაჟა-ფშაველას ფონდის დებულება;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი www.britishuni.edu.ge;
- სტუდენტური გრანტების გაცემის წესი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, კიდევ უფრო გააქტიურდეს საერთაშორისო თანამშრომლობა და გამრავალფეროვნდეს გაცვლითი პროგრამები;

სასურველია, უნივერსიტეტთაშორისი ხასიათი მიიღოს სტუდენტურმა კონფერენციებმა.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 17 აკადემიური და მოწვეული პერსონალი, აქედან 10 პროგრამის აკადემიური პერსონალი; 7 – მოწვეული პედაგოგი. უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ებით დასტურდება, რომ პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი შედგება ფილოლოგიის, განათლების, ისტორიის, პოლიტიკის მეცნიერებების, ეკონომიკის დარგების სპეციალისტებისგან, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის ინტერდისციპლინურ ხასიათს. აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა, 2022 წლის მონაცემებით შეადგენს 5-ს, ამდენად აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი და ადეკვატურია და ასეთად დარჩება სტუდენტების პროგრამით დაგეგმილ რაოდენობაზე გასვლის შემთხვევაშიც. ამასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი საგანმანათლებლო პროგრამას მდგრადობის პრობლემას არ ქმნის. პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტთა რაოდენობის გათვალისწინებით ასევე სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალური რაოდენობის დადგენისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობა სემესტრულად; შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაში ცალკეულ სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა; შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სასწავლო კურსებზე საკონტაქტო საათების რაოდენობა სემესტრულად; არჩევითი კურსების შემთხვევაში, საათები გაიყოს შუაზე; აკადემიური პერსონალის სალექციო დატვირთვის (საკონტაქტო საათები) მაქსიმალური მაჩვენებლები სემესტრულად.; სალექციო დატვირთის პროცენტული გადანაწილება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის.

ხელმისაწვდომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია ფორმულა, რომლის საფუძველზე ითვლება პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აუცილებელი რაოდენობა. აღნიშნულ ფორმულაში სემესტრული საათები მრავლდება სტუდენტების რაოდენობა გაყოფილი ჯგუფების რაოდენობაზე, მიღებული მაჩვენებელი მრავლდება სავალდებულო კურსების რაოდენობაზე და იყოფა აკადემიური პერსონალის სემესტრულ

დატვირთვაზე. საბოლოოდ, მიღებული მაჩვენებლიდან გამოითვლება აკადემიური და მოწვეული პერსონალის წილი.

უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესი. მასში გაწერილია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესები, რომელიც შეესაბამება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმებს, კერძოდ, აღწერილია კონკურსის პირობები, დოკუმენტაციის მიღების პროცედურები, კონკურსანტთა შეფასების ეტაპები, გადაწყვეტილების მიღების პროცესი.

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია „აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები“, რომლის მიხედვით აფილირებული პერსონალი აკაყოფილებს შემდეგ პირობებს: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს; აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით/ სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/ შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

აკადემიური პერსონალის დატვირთვა შემუშავებულია შიდა რეგულაციით და როგორც სასწავლო, ისე სამეცნიერო აქტივობების განხორციელებისა და დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების საშუალებას იძლევა. ინტერვიუებიდან ასევე ირკვევა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული სტუდენტთა კონსულტირებაში. ხაზგასასმელია, რომ პროგრამაზე აქტიური სტატუსის სტუდენტების რაოდენობა საშუალებას აძლევს, მიიღონ შესაბამისი მომსახურება თითო სტუდენტის შემთხვევაში. პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად ირკვევა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ფლობს ამომწურავ ინფორმაციას და მისი კვალიფიკაცია სრულიად შეესაბამება პროგრამის ხელმძღვანელისთვის საჭირო მოთხოვნებს.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი				
- პროფესორი	2	2	1	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	1	2
- ასისტენტ-პროფესორი	3	2	2	2

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი	3	3	1	0
მოწვეული პერსონალი	7	3	3	_
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოკუმენტი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს. გამოკითხვები ტარდება როგორც პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან პერსონალის შეფასების მიზნით, ყოველწლიურად, წელიწადში 2-ჯერ.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება შედგება 25 ინდიკატორისგან, თითოეულს ენიჭება შესაბამისი ქულა. კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში შექმნილია კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს მაკოორდინირებელი განყოფილების ფუნქციას. მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, რის საფუძველზეც ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი გეგმავს რამდენიმე ტიპის აქტივობას: მათ შორის, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, ასევე ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის

გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგები (მათ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა და მიდგომები, სწავლების მეთოდები და ტექნოლოგიები, ონლაინ სასწავლო პლატფორმების გამოყენება). აღნიშნულ ღონისძიებებში დასწრება მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

განვითარებისთვის განხორციელებულ აქტივობებს შორისაა: ა) სასწავლო კომპონენტი; ბ) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი; გ) უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობა.

სასწავლო კომპონენტის ფარგლებში (70%) დადგენილი ზღვრული ოდენობა შეადგენს 70%-ს. დატვირთვის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო მოიცავს არანაკლებ 2 და არაუმეტეს 14 საკონტაქტო საათის (მათ შორის, საკონსულტაციო) დატვირთვას. ანაზღაურება გაიცემა ყოველთვიურად, ფაქტობრივად შესრულებული საათების შესაბამისად. დოკუმენტაციაში ასახულია ამომწურავი ინფორმაცია შესაბამისი თანამდებობისთვის მაქსიმალური ანაზღაურების შესახებ.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (20%) გულისხმობს ანაზღაურებას განსაზღვრული აქტივობების შესრულებისთვის ანგარიშის წარმოდგენისას, კალენდარული წლის ნებისმიერ პერიოდში ან/და შიდა გრანტების ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში, ბიუჯეტით დადგენილი პერიოდულობით. უნივერსიტეტის მართვაში მონაწილეობის შემთხვევაში (10%), რომელიც ითვალისწინებს ორ კოლეგიურ ორგანოში წევრობას, ანაზღაურება გაიცემა, თუ პირი არის ორი კოლეგიური ორგანოს წევრი და ერთ სხდომაში მაინც მონაწილოეობს შესაბამის თვეში. ერთი კოლეგიური ორგანოს წევრობისას მისი ანაზღაურება კორექტირდება პროპორციულად.

ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი) პარტნიორებთან ესპანეთიდან, იაპონიიდან და სხვა.

როგორც ირკვევა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, 2021 წლის ოქტომბერში, უნივერსიტეტმა საგრანტო განაცხადი პროექტით „მუსლიმი თემის როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში“ შეიტანა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი“-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში, თანამშრომლობა დაიწყო ყაზახეთის რესპუბლიკის, ქალაქ ალმაატის უნივერსიტეტთან - Almaty Management University (ALMAU). 2021 წლის ნოემბერში, უნივერსიტეტმა თანამშრომლობა ასევე დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან (IRI) და გერმანულ ფონდ „ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის“ სამხრეთ კავკასიის ოფისთან. თანამშრომლობა ითვალისწინებს ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას, როგორც კვლევითი, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით. საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტი უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.

აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი განვითარებისთვის სხვა ღონისძიებებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ გასული წლის ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლების და ერასმუს+ პროექტის M.O.R.D.O.R ჩართულობით პერსონალის კვლევითი უნარების განვითარების ვორკშოპი. სისტემატიურად ტარდება პლაგიატის აღმოჩენის პროგრამების გამოყენების ტრენინგები. უნივერსიტეტის მხარდაჭერით აკადემიურ პერსონალს აქვს სტატიების გამოქვეყნების შესაძლებლობა, მოქმედებს შიდა აკადემიური გრანტების სისტემა, საგრანტო კონკურსები. დაწყებულია მუშაობა უნივერსიტეტის ელექტრონულ ჟურნალზე Georgian Political Science Review და სარედაკციო კოლეგიის შემადგენლობის ჩამოყალიბება. კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ უახლოესს დროს იგეგმება მასშტაბური პროექტი «სტოპ ლაიტი», სადაც აკადემიური პერსონალი გააუმჯობესებს კვლევით უნარებს.

აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ღონისძიებების უმეტესობა ტარდება ბუკინგემის უნივერსიტეტის ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება;
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის და ანაზღაურების წესი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი უმეტესწილად აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსისთვის აუცილებელი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. ამავე დროს, **რეკომენდებულია,** თითოეული სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკაში. სტუდენტისთვის საჭირო ლიტერატურის შეკვეთა შესაძლებელია ელექტრონული კატალოგის მეშვეობით. ამავე დროს, როგორც გაირკვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის დათვალიერების დროს, იგეგმება ბიბლიოთეკის გამდიდრება სხვადასხვა დარგის წიგნებით, რაც აუცილებელია, რადგანაც კვლევითი ლიტერატურის თვალსაზრისით ბიბლიოთეკა საკმაოდ მწირია და საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, როგორც სასწავლო კურსების ფარგლებში დაგეგმილი კვლევისას, ისე საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას მეტად მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურა დასჭირდებათ. ასევე, ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული ბაზები, როგორციაა SPRINGER, SCIENCE

DIRECT, DUKE PRESS, SAGE JOURNALS და სხვა. ამ რესურსებთან სტუდენტებს და პერსონალს წვდომა აქვთ როგორც კამპუსზე, ასევე დისტანციურად. აღნიშნული მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ პროგრამის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე მათ ეძლევათ საშუალება მრავალმხრივი და სფეროს უახლეს ცოდნაზე დაფუძნებულ მიღწევებს გაეცნონ, არამედ ამით ხელი ეწყობა ინტერნაციონალიზაციის საკითხსაც, რაც თანამედროვე ინტერდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამებისთვის შეუქცევადი პროცესია.

ინტერვიუების ჩატარების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტში ამოქმედდა LMS ელექტრონული პორტალი, სადაც ხელმისაწვდომია ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ. ტექნიკური ხარვეზების გამო იგეგმება ამ პროგრამის შეცვლა ახალი აკადემიური წლიდან (2023-2024). ლექტორები იყენებენ უნივერსიტეტის იმეილს, რომლის მეშვეობით აწვდიან შესაბამის ინფორმაციას ფაკულტეტის ადმინისტრაციას. ამდენად, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის უმეტესწილად ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

როგორც ჩატარებული ინტერვიუების და ინფრასტრუქტურის დათვალიერების დროს გამოიკვეთა, ელექტრონული პორტალი არ მუშაობს ეფექტურად, რაც აღნიშნულია ასევე 2.4. ქვესტანდარტშიც. ინტერვიუების პროცესში აღნიშნულ იქნა, რომ უსდ გეგმავს ახალი პორტალის დანერგვას, თუმცა მნიშვნელოვანია, პორტალის ცვლილება მოხდეს დროულად. **სასურველია,** უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ იქნას არსებული ელექტრონული პორტალის ეფექტური მუშაობა ან ახალი ელექტრონული პორტალის შეძენა სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის უწყვეტი კომუნიკაციისთვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ იგეგმება პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამაზე მეტი სტუდენტის მიღება.

სტუდენტებთან, ასევე აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო აუდიტორიების გარდა, რომლებიც სათანდოდ არის აღჭურვილი, სტუდენტებს, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალს შეუძლიათ გამოიყენონ სხვადასხვა სივრცეები, სადაც მუშაობენ თავიანთ პროექტებზე, ესწრებიან საჯარო ლექციებს და კონფერენციებს. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მათი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. უნივერსიტეტის კანონიერ მფლობელობაშია 2824 კვ.მ. მატერიალური-ტექნიკური რესურსს დაცვას უზრუნველყოფს, როგორც უნივერსიტეტის დაცვა, ისე ე.წ. ტექნიკური დაცვის სისტემები (ვიდეოთვალი, საჭიროების შემთხვევაში; სიგნალიზაცია; ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა; თვალსაჩინო ადგილას გამოკრული საევაკუაციო გეგმა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინფრასტრუქტურის დათვალიერება აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში;
- სახელმძღვანელოების შესყიდვის ხელშეკრულება;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- კვლევებისა და პოლიტიკის ინსტიტუტის წლიური ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, თითოეული სასწავლო კურსის სავალდებულო სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ბიბლიოთეკაში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

სასურველია, უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილ იქნას არსებული ელექტრონული პორტალის ეფექტური მუშაობა ან ახალი ელექტრონული პორტალის შეძენა სტუდენტებსა და პროგრამაში ჩართულ პერსონალს შორის უწყვეტი კომუნიკაციისთვის.

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	☒	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით ბრიტანულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტატუსი. დაწესებულებაში, ზოგადად, ბიუჯეტირების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს: ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის ხელმძღვანელები ამზადებენ მათ დაქვემდებარებაში მყოფი ფაკულტეტის / სამსახურის / ცენტრის / დეპარტამენტის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი განიხილავს ბიუჯეტის პროექტებს, რათა დაადგინოს შესაბამისობა ბრიტანული უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებსა და აქტივობებთან. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დადებითი შეფასების შემდეგ, საფინანსო სამსახური წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტების საფუძველზე ადგენს დაწესებულების ნაერთ ბიუჯეტს და ამზადებს მას უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე წარსადგენად და დასამტკიცებლად.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ბიუჯეტი აჩვენებს მოგებას, ასევე, ბიუჯეტში გათვალისწინებულია „უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი“, რომელიც ემსახურება მინიმალური სტუდენტთა რაოდენობის არსებობის შემთხვევაში, პროგრამის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის ყველა ხარჯის დაფარვას.

პოლიტიკის მეცნიერების პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს შემდეგ მონაცემებს: სწავლებისა და პრაქტიკული მეცადინეობისათვის საჭირო საკონტაქტო საათებს; სასწავლო კურსების რაოდენობას; სალექციო საათების ანაზღაურებას; სწავლების პროცესში სტუდენტისა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საერთაშორისო, თუ სამეცნიერო კვლევით მხარდაჭერას; სტუდენტების დაფინანსებას; პროგრამის ხანგრძლივობის პერიოდში დასაშვებ გაუთვალისწინებელ ხარჯს.

ყველაზე მსხვილი თანხა გამოყოფილია აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურებისთვის. ასევე გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის ხარჯები (როგორიცაა მონაწილეობა კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და სხვადასხვა საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში) და ლიტერატურა და საკანცელარიო ნივთები. პროგრამის აკრედიტაციის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული გასაუბრებების შედეგად ასევე გაირკვა, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება აკრედიტაციის მიღების შედეგად, შესაბამისად, სარეზერვო ფონდის ფინანსური რესურსების გამოყენება ნაკლებად რელევენატური გახდება. როგორც დაზუსტდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დროს, საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა დგინდება ფინანსური დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელის თანამშრომლობის გზით. ანალიზს ექვემდებარება საგნების ბადე, მათი რაოდენობა სემესტრების მიხედვით. შესაბამისად ითვლება ლექტორების ანაზრაურება და სხვა ხარჯი, როგორც გათვალისწინებული, ისე გაუთვალისწინებელი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების წარმომადგენლებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის შემუშავებისა და თვითშეფასების პროცესი მიმდინარეობდა თითქმის მთელი ორი წლის განმავლობაში. პროცესში გათვალისწინებულია დარგში მიმდინარე ცვლილებები, შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნები, საერთაშორისო პარტნიორების მოსაზრებები. პროგრამის შემუშავება ხდებოდა ეტაპობრივად: რადგან პროგრამა ხორციელდებოდა ავტორიზირებულ რეჟიმში, ამიტომ თავდაპირველად მოხდა პროგრამის ადაპტირება ეროვნული ავტორიზაციის სტანდარტებთან (ავტორიზაციის პერიოდი); შემდეგ განხორციელდა გარე შეფასება ბუკინგემის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის მიერ; მოხდა შეფასების კომენტარების შეჯერება ბრიტანული უნივერსიტეტის აკადემიური გუნდის და ბუკინგემის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ფაკულტეტის გუნდის მიერ; მოეწყო ვალიდაციის შეხვედრა; მოხდა შეჯერებული პოზიციების ასახვა პროგრამაში; განხორციელდა პროგრამის დამტკიცება ბუკინგემის მხარის და ბრიტანული უნივერსიტეტის მიერ; დაწესებულებამ უზრუნველყო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მომზადება; მოეწყო პროგრმის კიდევ ერთხელ განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: პროგრამის ხელმძღვანელი, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები ბიბლიოთეკის დირექტორი, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, სტუდენტები, საფინანსო სამსახური, კვლევებისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელი, იურიდიული სამსახურის უფროსი. თვითშეფასების ჯგუფში თითოეული წევრისთვის განსაზღვრული იყო შესაბამისი ფუნქციები და უფლება-მოვალეობები. თვითშეფასების ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობდა პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შესაბამისი ინფორმაციის გაზიარების კუთხით. ამასთან, თვითშეფასების ანგარიშის საბოლოო ვერსიის განხილვა მოხდა თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრაზე.

უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მიმდინარე პროცესების ხარისხის შეფასებაში. ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები დაჯგუფებულია შვიდ ძირითად პროცესად, რომლის შეფასებასა და მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს ორგანიზაციული სქემით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების დახმარებით: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლება-სწავლის ხარისხის შეფასება; საერთაშორისო

თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება; სერვისებისა და რესურსების შეფასება; პროგრამის განმახორციელებელი (აკადემიური, მოწვეული), ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასება; კვლევითი საქმიანობის შეფასება; ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის შეფასება; უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილის შეფასება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციური/ელექტრონული და შერეული ფორმით სწავლება/სწავლის ადმინისტრირების წესიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული გამოკითხვისა და შეფასების ფორმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატრებული გამოკითხვების შედეგები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრებისა და კოლეგიალური შეფასების დოკუმენტები;
- 2021-2022 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების სასწავლო პროცესის შეფასების ანალიზისა და რეაგირების დოკუმენტები;
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის დოკუმენტი;
- გარე ექსპერტული შეფასებები უცხოელი და ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ;
- პარტნიორების მიერ პროგრამის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ვალიდაციის ცნობა;
- შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების კვლევა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობის შეფასების წესი
- აპელაციის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დისტანციური/ელექტრონული და შერეული ფორმით სწავლება/სწავლის ადმინისტრირების წესი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური/.მოწვეული პერსონალის და სტუდენტების წარმომადგენლებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო პროგრამა ვალიდირებულია ბუკინგემის უნივერსიტეტის მიერ. პროგრამის ვალიდაციის პროცესში პროგრამა შეფასდა ბუკინგემის უნივერსიტეტის გარე შემფასებლის მიერ. შემფასებელმა მთლიანობაში პროგრამა დადებითად შეაფასა. პროგრამა, ასევე შეფასდა ადგილობრივი გარე ექსპერტის მიერ, რომელმაც პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და სტრუქტურა დადებითად შეაფასა. დაწესებულებამ განიხილა და გაითვალისწინა ვალიდაციის პროცესში და გარე შემფასებლების მიერ გაცემული რეკომენდაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის დოკუმენტი;
- გარე ექსპერტული შეფასებები უცხოელი და ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ;
- პარტნიორების მიერ პროგრამის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ვალიდაციის ცნობა;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების წარმომადგენლებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა, რომელიც სავალდებულოა დასაცავად პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირისთვის. საგანმანათლებლო პროგრამები პერიოდულად ექვემდებარება მონიტორინგს/შეფასებას პროგრამის ფარგლებში არსებული სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას გამოიყენება: სტუდენტების უნარებით დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა; სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი; სტუდენტების კმაყოფილების ყოველსემესტრული კვლევა; დამსაქმებელთა საჭიროებების ანალიზი; პროგრამასთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლების ანალიზი.

პროგრამის თვითშეფასების ფორმა, რომელიც ყოველწლიურად უყრის თავს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს, მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს - გამოკითხვების შედეგებს, ინფორმაციას სტუდენტთა პროგრესიის შესახებ, ინფორმაციას განხორციელებული კვლევების შესახებ, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობის მაჩვენებელსა და სხვ.

საგამოცდო ცენტრი, ფაკულტეტთან ერთად, ყოველი სემესტრის დასასრულს ახორციელებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგს, რაც გულისხმობს მათი შეფასებების განაწილების ანალიზს. ნორმალური განაწილებიდან დიდი გადახრის არსებობის შემთხვევაში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აანალიზებს შესაძლო გამომწვევ მიზეზებს და საჭიროების შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს.

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების დინამიკის, პროგრამის დასრულებისა და მობილობის მაჩვენებლების, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის შესწავლა ხორციელდება ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. შესაბამისი მონაცემების ანალიზი აისახება პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმაში.

დაწესებულება ატარებს ჯგუფურ ინტერვიუებს/ფოკუს ჯგუფებს, რაც აძლევს სტუდენტებს საშუალებას, რომ უფრო ვრცლად და სიღრმისეულად გამოხატონ თავიანთი შეხედულება კონკრეტულ პროგრამაზე, კურსზე, აკადემიურ პერსონალზე, ან ნებისმიერ სხვა საკითხზე. ინტერვიუს წარმართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ინტერვიუები ტარდება სემესტრულად. გამოკითხულთა რაოდენობას და სტუდენტების არჩევის მეთოდს ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება დაიგეგმოს დამატებითი, საჭიროებაზე დაფუძნებული ფოკუს-ჯგუფები. ჩატარებული ინტერვიუებიდან გაკეთებული დასკვნები განიხილება პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის დეკანთან და შესაბამის პასუხიმგებელ სტრუქტურულ ერთეულებთან.

სწვალება-სწვალის პროცესის შეფასებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ურთიერთდასწრების მექანიზმი.

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული საქმიანობის შეფასების წესი. აღნიშნული შეფასების შედეგებიც გამოიყენება პროგრამის განვითარებისათვის.

კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუ/გამოკითხვა ტარდება ორ წელიწადში ერთხელ. დამსაქმებლები აფასებენ, რამდენად არიან კმაყოფილი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა ცოდნითა და უნარებით, კურსდამთავრებულები კი აფასებენ, რამდენად მიაღწიეს პროგრამით დასახულ სწავლის შედეგებს და რამდენად შეუწყო აღნიშნულმა ხელი მათ დასაქმებას. ინტერვიუს/გამოკითხვის ჩატარებაზე პასუხისმგებელია უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შედეგები რეაგირებისთვის ეცნობება შესაბამის ფაკულტეტსა და პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულების ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული გამოკითხვისა და შეფასების ფორმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატრებული გამოკითხვების შედეგები;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრებისა და კოლეგიალური შეფასების დოკუმენტები;
- 2021-2022 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრების სასწავლო პროცესის შეფასების ანალიზისა და რეაგირების დოკუმენტები;
- ანალოგიური პროგრამების შედარებითი ანალიზის დოკუმენტი;
- გარე ექსპერტული შეფასებები უცხოელი და ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების მიერ;
- პარტნიორების მიერ პროგრამის შეფასება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ვალიდაციის ცნობა;
- შრომის ბაზრისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების კვლევა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული საქმიანობის შეფასების წესი
- აპელაციის წესი;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დისტანციური/ელექტრონული და შერეული ფორმით სწავლება/სწავლის ადმინისტრირების წესი;
- ინტერვიუ დაწესებულების ადმინისტრაციის, აკადემიური/.მოწვეული პერსონალის და სტუდენტების წარმომადგენლებთან;
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
„პოლიტიკის მეცნიერება“
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - გვანცა აბდალაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ივანნა მაჩიტიძე

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ია ნაცვლიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა - სოსო გაზდელიანი